თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

19 დეკემბერი 2023 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **უჩა ჭოტიაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე,** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი **მალხაზი ბაღუაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: მ.ბაღუაშვილი
13.00სთ-დან-13.20სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: მ.ბაღუაშვილი
13.00სთ-დან-13.20სთ-მდე

ბ.გულიაშვილმა აღნიშნა, რომ ჩამონათვალში გვხვდება ისეთი მცენარეები, რომლებიც შესაძლებელია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვერ გაიხაროს, ამიტომ განსაზღვრული უნდა იყოს ის სახეობები, რომლებიც მისაღებია თითოეული მუნიციპალიტეტისათვის.

ი.კირვალიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხის განხილვის პროცესში შესაძლებელი იქნება გარკვეული ცვლილების შეტანა მცენარეთა ჩამონათვალში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახური არ მიიღებს ისეთ პროექტს, რომელსაც არ ექნება გავლილი ექსპერტიზა.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**